№ 12

ხუთშაბათი,
10 სექტემბერი
1909 წ.

მოამავალი

№ 12

ხუთშაბათი,
10 სექტემბერი
1909 წ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„მომავალი“

გამოდის ყოველ-დღე, გარდა კვირა-უქმის მეორე დღეებისა

გაზეთი ღირს: როგორ(კთფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით **7** მან., ნახევარი წლით **4** მანეთი. **1 სექტემბრიდან წლის ბოლომდე** თფილისში **3** მან. თფილისს გარეთ **3** მან. **20** კ. **თვიურათ**: თფილისში **80** კ., თფილისს გარეთ **90** კაპ. ცალკე ნომერი—**5** კაპ. ადრესის გამოცვლა ღირს **40** კაპ. (შეიძლება მარკებითაც)

გაზეთის გამოწერა შეიძლება **მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან**

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ღირს **15** კ.; უკანასკნელზე—**10** კ.; სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს **5** ს-მდე **3** მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი. ხელის მოწერადა დასაბეჭდი განცხადებები მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველდღე, დილის **9** ს. საღამოს **2** საათამდე და საღამოს **5**—**6** საათამდე. კვირა-უქმეებში დილის **11**—**12** საათამდე.

რედაქცია ხელმოუწერელ წერილებს არ ბეჭდავს. **დაუბეჭდავ მცირე წერილებს არ ინახავს და მათ შეხახებ არავითარ მიწერ-მოწერას და მოლაპარაკებას არ კისრულობს.**

რედაქციის ადრესი:
რუსის ქუჩა, სახლი № **3**, ზემო სართულში.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი:

Тифлисъ, тип. „Сорапань“, **Калистрату Конст. Цуладзе.**

მეუღლე განსვენებულ ნოვოროსიისკის უნივერსიტეტის სტუდენტის პიკტორ **ბოლქვაძის ლიზა ბოლქვაძისა ნაკაშიძის ასული, მშობლები** და **მახლობელი ნათესავები** უღრმეს მადლობას უცხადებენ ყველა იმათ, ვინც პირადათ დასწრებით ან წერილობითი პატივი სცა და მონაწილე გახდა იმ საერთო უბედურების, რომელიც თავს დაატყდა მათ

ბიკტორის

უდროვოთ და ჯარგვით.

გაცხადება

ოცს ამა ენკენისთვეს, დილის **9** თეთრეტ საათზე დაბა **ჭიათურაში** ადგილობრივ თეატრის დარბაზში შესდგება **შავი ქვის მრეწველთა ასოციაციის წევრთა წლიური მორიგი საზოგადო კრება.**

კრებაზედ განხილული იქნება: 1) ბიუროს წლიური ანგარიშები; 2) კითხვა შესახებ ასოციაციის არსებობისა; 3) ჭიათურაში შავ ქვაზე ფასების დაარსება; 4) ასოციაციის ქონების წლის ბოლოთ-ალრიცხვა; და 5) ბიუროს სამი წევრის არჩევა.

3—6—2

გამოვიდა ახალი გამოცემა „**კოლხიდა**“-სი

„სახმო წესით“

კითხვის სწავლება ანდრია შუბლაძისა, ფასი **10** კ. და **„ქართული მოძრავი ასოები“** ფ. **5** კ. ცალი. იყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებსა და გაზეთების აგენტებთან. (5—5)

ნაფიცი ვექილი

სერგეი დ. ჯაფარიძე

ქუთაისიდან გადავიდა თფილისში

ბროსეს ქუჩა, ახვერდოვის სახლი № **11**.
(სასტუმრო „ლონდონის“ ახლოს)

ს. ჯაგანოვი

თფილისის სამეურნეო ბანკი ყიდის ხის სახლს, რომელიც ეკუთვნოდა ბ-ნთ ჭაჯაიების სამეურნეო საზოგადოების და ბანკს ვალში დარჩა. ადრესი: Тифлисъ, Сельско-хозяйственный Банкъ.

(2—2)

გაიხსნა ახალი

თფილისის

კერძო სამკურნალო

ღია ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვაგზლის ქ., № **8**; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი **695**).

ექ. ე. გ. ფედოროვი: ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა **11**—**12** საათამდე შინაგანი და ბავშვებისა.

ექ. ვ. დამბაშიძე: ყოველ დღე, კვირა დღის გარდა **12**—**1** ს. შინაგ. და ბავშვ. ავათმყ. შეჩერა მიღება **1**-ლ სექტემბრამდე.

ექ. ბ. ა.ი პოპოვი: ყოველ დღე ხუთშაბათს გარდა კვირსა **12**—**1** ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.

ექ. ბ. მ. მაკაროვი: შეჩერა მიღება **1** სექტემბრამდე.

ექ. ა. ნ. დიასამიძე: ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

ექ. ნ. მ. მელიქიშვილი: ყოველ დღე; **1**—**2** გ.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.

ექ. ი. გომბერელი: ყოველ დღე, **2**—**3** ს.; შინაგან და ბავშვ. ავათმყ.

ექ. ვ. ს. მუსხელიშვილი: ყოველ დღე, კვირა დღ. გარდა **2**—$2^1/_1$ ს.; თვალის ავათმყ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის **50** კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგეობით.

ამ მოკლე ხანში გაიხსნება სტაციონალური განყოფილება **30** საწოლით. **100—55**

კბილის ექიმი

ს. ვაშაყმაძე

აბასთუმანიდან დაბრუნდა. ავათმყოფებს ღებულობს **ახალ ბინაზე** დილით: **9**—**2** საათ. საღამოს: **5**—**7** საათ. ვერის დაღმართი, სახლი № **15**.

კბილის ექიმი

ი. შ. ჭანტურია

იღებს ავათ-მყოფებს დილით **7**—**9** ს. საღამოთი **4**—**8** ს.

კვირა-უქმე დღეს **9**—**1** საათამდე. ავჭალის № **71** (კიროჩნი ქუჩის ახლოს)

ქ. ქუთაისში

თ. მთავრიშვილის

წიგნის მაღაზიაში დამზადებულია დიდძალი ქართული და რუსული სახელმძღვანელო, სამეცნიერო, სალიტერატურო, სახალხო და საყმაწვილო წიგნები, ქართული და რუსული მოძრავი ანბანი, რვეულები ქართული და რუსული წერისათვის. აქვე იყიდება ოჯახსა და სკოლაში საკითხავი წიგნი

„გუთანი“,

შედგენილი ქართულ გიმნაზიის მასწავლებლების მიერ. სასწავლებლებს, ბიბლიოთეკებს, საქველმოქმედო დაწესებულებებს და წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ ათ პროცენტათ.

(თვ. 0—24)

ქართული სექცია

თფილისის სახალხო უნივერსიტეტისა ამით აცხადებს, რომ **15** სექტემბრიდან იწყება სწვლა აღნიშნულ სექციის სკოლებში გაფართოებული პროგრამით. მსურველთ შეუძლიათ ჩაეწერონ ყოველ დღე საღამოობით (გარდა კვირა დღისა) **6**—**8** საათამდე იმავე შკოლებში; **1**, გოგოლის ქუჩა № **42**, ვოგზლის ახლო **2**) ვერაზე ოლგის ქუჩა № **32**, **3**) ავლაბარში, ავლაბრის ქუჩა ქალანთაროვის სახლი.

სწავლის ფასი სამ თვეში ერთი მანეთი. 5—2

C. и Ѳ. Грязновы готовятъ учениковъ въ среднія учебныя заведенія.

Имѣются группы, готовящихся въ **4, 5 и 6** классъ гимназіи.

Адресъ: Вера, Измайловскій пер. № 6, въ верхнемъ этажѣ кв. 8. (10—7)

ივ. კაჩუხოვი

გადავიდა ბელინსკის ქუჩ. № **18**.

თფილისი, 10 სექტემბერი.

რეაქციას შეუძლია იდღესასწაულოს ყოველმხრივი გამარჯვება რუსეთის პროგრესიულ ძალებზე. საზოგადოების ყველა ნაწილზე მეტი ზიანი მან მიაყენა მუშათა კლასს. ეს უკანასკნელი გამოემწყვდა ორ დიდ ძალას შუა და გასაქანი გზა აღარ აქვს. ერთი ამ ძალთაგანი კაპიტალისტებია—მუშათა პირდაპირი აღები, რომლებს, 1904—1905 წლებში მუშებისაგან მოპოვებულ ყოველგვარ გაუმჯობესებული პირობები, ნელი, მაგრამ შეუჩერებელი ნაბიჯით უკან მიაქვთ. ეს პროცესი წარმოების ზოგიერთ დარგებში უკვე დამთავრდა, ზოგიერთებში კი დღეს თუ ხვალ დასრულდება. სამუშაო დღის გაგრძელება, სამუშაო ჰირის შემცირება, ზედმეტი სამუშაოს ძველებურ თ შემოღება, „არაკეთილსაიმედოთა“ გაძევება, ყოველგვარი ორგანიზაციების მოსპობა და კოლექტიური ერთეულის მაგიერ კერძო პირების დაყენება, აი უმთავრესი მოვლენები, რაც კაპიტალისტებმა მოახერხეს ამ უკანასკნელ წლებში. ამ საქმეში კაპიტალისტებს დიდი სამსახური გაუწია მეორე ძალამ—მთავრობამ. თავის საკუთარი ძალით კაპიტალისტები ყველა ამაების მოხდენას ვერ შესძლებდენ, რადგანაც მუშებმა უკვე იგემეს, შეისისხლხორცეს ახალი გაუმჯობესებული პირობები, ისინი ნამდვილ მათ არსებით საჭიროებათ და მოთხოვნილებათ გადაიქცენ, მხოლოდ ტლანქ ძალას შეეძლო მუშებიდან ახალი პირობების გამოგლეჯა და ეს მართლაც ასე მოხდა. აღსანიშნავია ამ მხრით კაპიტალისტების თანდათანი ნაბიჯები. პირველ შესევისათანავე ისინი ერთბაშათ როდი არომევენ მუშებს ყველაფერს. პირველი იერიში მიაქვთ მუშათა ორგანიზაციებზე, ამას იღებენ ნიშანში და მათ მოსპობას ლამობენ. ეძებენ ათას გვარ მიზეზს, ხოლო როდესაც თვითონ ვერაფერ საბუთს და მიზეზს ვერ ნახულობენ კავშირის წინააღმდეგ, მთავრობას უთითებენ, ოდესმე მათივე სურვილით დაარსებულს მუშების ორგანიზაციაზე და ეუბნებიან, რომ საჭიროა მისი დახურვა—ის გზაზე გვიდგია, როცა მუშებში დისციპლინის შეტანა გვსურსო. იყო დრო, როცა ისინი სულ სხვა ჰანგებზე მღეროდენ, მუშებთან მოლაპარაკება და წარმოების რიგიანათ დაყენება ორგანიზაციის საშუალებით გაადვილებულია ამბობდენ ისინი და მას მთავრობის რისხვისაგან თითქოს იცავდენ კიდეც. დღეს ამაში აღარ საჭიროებენ და ტაქტიკაც სხვანაირია. ისპობა „კანონიერ ნიადაგზე“ მუშათა ორგანიზაცია, ისპობა მუშათა წარმომადგენლობა და იწყება მათი დაქსაქსვა. ეს წუთია საუკეთესო ახალი პირობების გამოსაცხადებლათ. მაგრამ აქაც ყველა დარგის მუშებს ერთბაშათ როდი ესხმიან, არამედ ნაწილ-ნაწილათ. ამარცხებენ ერთს, გადადიან მეორე დარგზე, მეორედან მესამეზე და ასე ბოლომდის. კვლავ აღიდგინეს ძველი წესები, ძველი უფლებები და მუშები ისევ „ძველ მუხრუჭში“ მოიქცენ, და მათი მდგომარეობა მეტათ ტრაღიკული ხდება. ოთხი წლის წინათ !საუკეთესო იმედებით აღსავსე, შემგნები თავისი ძალის და მისიის, დღეს უიმედოთ გამხდარა. ეს გარემოება ბევრს გზას უბნევს, ბევრს მძიმე და ეკლიან, მაგრამ საიმედო გზიდან ახვევინებს და პირდაპირ უფსკრულში ერეკება. ზოგი ჯერ კიდევ ტეროორისტული აქტების მოხდენით ფიქრობს კვლავ გამარჯვებას, მაგრამ ისინი სასტიკათ ცდებიან, ამით სულ წინააღმდეგს აღწევენ: გამარჯვების მაგიერ რეპრესიების გაძლიერებას და მხოლოდ განსაკუთრებული წესების მომხრეთა გულს ახარებენ. ზოგიერთები კიდევ უფრო ძირს ეშვებიან და მიმართავენ ისეთ მოქმედებას, რომ ყველას ზიზღს და წყრომას იწვევენ; ასეთ მოქმედებათ უნდა ჩაითვალოს: შანტაჟი, ექსპროპრიაციები და უკანასკნელ დროს, რას მოვესწარით, ქურდობა. „მომავალის“ მეთერთმეტე ნომერში რკ. გზ. მთავარ სახელოსნოდან კორესპონდენციაში შემდეგს ვკითხულობთ: „ამას წინათ ნაძალადევში გაქურდეს ერმილე ხავთასი, მოპარეს სხვადასხვა ნივთები: ტანისამოსი, თეთრეულები და ოქრო-ვერცხლეულობა 500—800 მ-დის. რამდენიმე ხნის შემდეგ მან მიიღო შანტაჟისტებისაგან წერილი: „მოგვეცი 200 მან. და ნივთებს დაგიბრუნებთო“. ამის გამო ეჭვით დაპატიმრეს მთ. სახელოსნოს მუშები: ს. აფხაზია, გ. ჯამბურია, გ. კვაჭაძე და ეს. ტალაბაძე. როგორც გამოძიებიდან გამოირკვა, ეს ქურდობა უმტკიცდება პირველ სამ პირს, „რადგან მათ უპოვნეს გაჩხრეკის დროს დაკარგული ნივთები“. ჩვენ დანამდვილებით არ ვიტყვით, რომ უსათუოთ დასახელებულნი პირნი იყვენ ხავთასის გაქურდვაში მონაწილენი, მაგრამ ჩვენთვის ისიც საკმარისია, რომ სახელოსნოს რამდენიმე მუშა, გუშინწინ მებრძოლთა წინა რაზმებში მდგომნი, დღეს თვითონ თუ არ არიან ქურდები, ქურდების დამხმარეთ მაინც გამოდიან, თორემ მათ სახლში ნაქურდალიც არ აღმოჩნდებოდა! ეს არის გახრწნა. როდესაც მუშათა წრეებში ჩნდებიან ტეროროისტები, შანტაჟისტები და ქურდები, ამათ წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლა არის საჭირო; თვით მუშათა მასსამ უნდა შექმნას საზოგადოებრივი აზრი მათ წინააღმდეგ, თვით მუშათა მასსამ უნდა გამოამზეუროს ყოველივე მათი მოქმედება საქვეყნოთ და დაჰგმოს; მხოლოდ და მხოლოდ ისინი მოუღებენ ამას ბოლოს და არავითარი სხვა ძალა. თვით ამ კორესპონდენციის მოთავსება გაზეთ „მომავალში“ არის იმის მაჩვენებელი, რომ მუშებს უკვე გადაუწყვეტიათ სასტიკი ბრძოლა იმათ წინააღმდეგ, რომლებიც თავიანთი საზიზღარი მოქმედებით მუშათა ისედაც ტანჯულ ცხოვრებას წამლავენ, მათ ტანჯვაზე ტანჯვას უმატებენ და მტრის გულს კი ახარებენ.

საჭიროა მუშებმა სერიოზული ყურადღება მიაქციონ ასეთ გარემოებას, ერთხელ და სამუდამოთ გააძევონ თავის წრიდან ასეთი ელემენტები და მით ბოლო მოუღონ იმ დეზორგანიზაციას და გახრწნას, რომელიც შეაქვთ მუშათა მასსაში ასეთი პირების მოქმედებას.

ვისი ბრალია?

(დასასრული)

ახლა გვიბრძანეთ, როგორის გულშემატკივრობით და ყურადღებით ეკიდება კავკასიის სწავლა-განათლების ამგვარ საჭიროებას განათლების სამინისტრო, რა მზრუნველობას იჩენს თვით ამის მოლაპარაკე ადგილობრივი მთავრობა?

გადაშალეთ საბიუჯეტო კომისიის მე-3 გვერდი განათლების სამინისტროს სმეტის შესახებ და აქ ამოიკითხავთ პასუხს. ამ წელში 7,000,000 მანეთიდან, რომელიც გადაიდვა პირველ დაწყებითი სწავლისათვის მთელ იმპერიაში კავკასიას ხვდა 300 მანეთამდე. *)

ასე ზრუნავს ბატონება კავკასიისთვის მთავრობა.

შედეგი ასეთი გულშემატკივრობის თვალ-წინ გვაქვს. მე მოვიყვან აქ ზოგიერთ სასოფლო-სამეურნეო საჭიროებათა კომიტეტის აზრს.

ზაქათალის საოლქო კომიტეტი:

„ზაქათალის ოლქში მეურეობა განვითარების პირველ საფეხურზე დგას და სწარმოებს პირველ ყოფილ პირობებში“.

ყარსის საოლქო კომიტეტი:

„აქაურებმა სრულიად არ იციან რა არის გაუმჯობესებული გუთანი, სასოფლო-სამეურნეო იარაღი და მანქანები; მათთვის სრულიად უცნობია სისტემა სათესურის შენაცვლების და ბალახის თესვის, არა გაეგებათ რა სამრეწველო და საკვები მცენარეების, არ გააჩნია ნამცეცი მეცნიერული სამეურნეო ცოდნის, არ უნახავს უფრო ამტანი თესლეულობა აქაური პირობების, ვინემ ადგილობრივი თესლია“.

თფილისის საგუბერნიო კომიტეტი:

„სექცია საჭიროთ სთვლის აღნიშნოს, რომ ყველა დარგები სოფლის მეურნეობის და ხალხის შრომის უმდაბლეს საფეხურზე სდგას“.

ასეთი გახლავთ ბ.ბ. სასოფლო-სამეურნეო ცოდნის და კულტურის მდგომარეობა მთელ კავკასიაში.

მთელი საუკუნის განმავლობაში ბიუროკრატიამ და მებატონე-ექსპლოატატორებმა ყოველი ღონე იღონეს, ყოველი ხერხი იხმარეს, ყოველი საშუალება გამოიგონეს, რომ უმთავრესი წყარო ცხოვრების დაეშროთ და ხალხი სიბნელეში დაეტოვებიათ.

უმთავრესი ხერხი და საშუალებები, რაც საკვირველია, იყო და არის დღესაც კავკასიაში არსებული, დღემდის შემონახული ბატონ-ყმობა.

ასე იყო დღემდე. ახლა რას აკეთებს მთავრობა, რომ საქმე შემობრუნდეს და ხალხმა სული მოითქვას?

ჩახედეთ ისევ ამ სმეტაში და აქაც გადაჭრილ პასუხს მიიღებთ.

წლიური საეროზო გადასახადია კავკასიაში **5,747,496** მ., ამ ფულიდან **თანახმად** კავკასიის სმეტის პროექტისა წლიურათ უნდა მიეცეს

1) ყუბანის საბაღოსნო შკოლას **1814** მ.
2) ქუთაისის სამეურნეო შკოლას **6000** მ.
3) თფილ. საბაღოსნო შკოლას **3000** მ.
ხოლო სამი წლით . . . **10814** მ.
სულ . . . . **32,442** მ.

ესე იგი სწორეთ იმდენი, რამდენიც დასჭირდება მდიდარი თავადის ცხენებს და ძაღლებს!

აი დაახლოვებით რა მოგახსენეთ ჩვენ ამ კითხვის შესახებ. იმედი გვაქვს შევსებით იგივე სურათი გადაგიშალოთ მთელი დუმის წინაშეც, როცა შემთხვევა მოგვეცემა.

როგორ ფიქრობთ, მოგვაწვდის ცნობას და მასალას „დროება“ ამ შემთხვევისთვის? ჩვენ გვგონია, რომ არა? ბრალი კი მაინც ჩვენი იქნება!

რაკი ადგილობრივ კულტურულ დაწესებულებებზე ვლაპარაკობთ, ზემოტი არ იქნება ჩვენის აზრით შემდეგი ცნობებიც.

მეორე სესიაში დუმას მსჯელობა ჰქონდა ორ ადგილობრივ კულტურულ დაწესებულებაზე. ერთია მცხეთასთან—სადგური მაგნეტიურ მოვლენათა გამოსაკვლევათ, მეორე—კავკასიის მუზეში თფილისში.

ვინ იფიქრებს, რომ ცნობები და მასალები შეაგროვოს ასეთ საკითხებზე, ან რა საფიქრებელია, რომ ვინმე წინააღმდეგი გაუხდეს მცირეოდენ ხარჯს ასეთ საქმეზე, მაგრამ, აბა მოიგონეთ, რა თქვა მარკოვმა მეორემ „ვალიაი“თ წოდებულმა:

მაგი კი არა უნდა კავკასიას! კავკასიას ჯერ ხელახლა დაპყრობა უნდაო!

თუმცა ეს სხვა შემთხვევის დროს იყო, მაგრამ ჩვენ პასუხი გავეცით შავრაზმელ დეპუტატს ამ რიგათ:

ჩხეიძე. მე სულ რამდენიმე სიტყვას ვიტყვი. დეპუტატმა მარკოვმა აღნიშნა ისეთი ფაქტი, ვითომ რუსეთის იმპერიის შემადგენელი ხალხები ყველა დაპყრობილია. (ხმები: ეგ ფორმულას არ შეეხება).

თავმჯდომარე. უმორჩილესათ გთხოვთ ილაპარაკოთ მხოლოთ ფორმულაზე და არ აღძრათ ახალი საკითხი დაპყრობილთა და დაუპყრობელთა შესახებ. (ტაშის ცემა მარჯვნივ, ხმაურობა, თავმჯდომარე რეკს).

*) ამ დღეებში აქ ჩამოვიდა ერთი ჩემი ამხანაგი, რომელმაც გადმომცა: კაცო, ბევრი ვერ დავაჯერე, რომ ეს ცნობა ნამდვილია. როგორ შეიძლება კავკასიის რამოდენიმე ასი მანეთის მეტი არ ხვედროდეს, ალბათ, სულ შეცდომა იქნებაო. საკვირველია ბეშმარიტათ: რა არის აქ დაუჯერებელი და შეუძლებელი გასაკვირვალი, საოცარი და დაუჯერებელი იქნებოდა წინააღმდეგი რამ რომ მომხდარიყო, ვთქვათ, მაგალითად, ოჯას-სამასი მანეთის მაბიერ ოჯასი ათასი მანეთი რომ ხვედროდა კავკასიას.

ჩხეიძე. დიახ, მე მინდა აღვნიშნო, რომ ეს სინამდვილე არ არის.

თავმჯდომარე. უმორჩილესათ გთხოვთ მაგას ნუ ეხებით. (ბულატი: მარკოვს ხომ ქონდა ნება? ხმა მარჯვნიდან: მარკოვს აქვს ნება, ჩხეიძეს კი არა).

ჩხეიძე. აი თუნდ ქართველები, სრულიადაც არ დაუპყრიათ, მე უნდა ვსთქვა...

თავმჯდომარე. მე თქვენ უმორჩილესად გთხოვთ მაგაზე ნუ ილაპარაკებთ.

ჩხეიძე. ბ.ბ. მოგახსენებთ, რომ მაგ წინადადების შემოტანა არ არის საჭირო, რადგან მპყრობელობის პოლიტიკას რუსეთისას უფრო შორს წასასვლელი გზა აღარ აქვს, მან უკვე მიაღწია უკიდურესობას, თუმცა შიგ რუსეთში ომია გაჩაღებული. (გულკინი: თქვენ წინააღმდეგ). ეს საკითხი რუსეთის საყოველთაო საკითხია; აქ მრნაწილეობენ ქართველის რუსის, სომეხის და სხვანი. მასსა ეს ბრძოლა მიმართულია დღევანდელ ბატონთა წინააღმდეგ; მისი მიზანია: ბოლო მოეღოს ამ ბატონებსაც და მათ სურვილებსაც. (სტენ. ანგ. გვ. 2758).

მოგეხსენებათ კარგათ, რა თქმა უნდა: დუმაში ხშირია შემთხვევა, როცა საქმე ეხება შკოლას, ეკლესიას, ტყეს ან მინდორს, კაცთი კი, რომელიმე კუთხის ხელმეორეთ დაპყრობაზე ატყდება ხოლმე.

კავკასიის მუზეუმის შესახებ ჩვენ შემდეგი ცნობები მოვიყვანეთ ოფიციალური დოკუმენტიდან.

„ეს მუზეუმი დააფუძნეს თფილისში მიხეილ ნიკოლოზის ძის დროს და მოთავსებულია დღევანდელ შენობაში 1870 წლიდან. ამ ხნის განმავლობაში ეს მუზეუმი თანდათან იზრდებოდა და დღეს უდიდეს კულტურულ მეცნიერულ დაწესებულებას წარმოადგენს; აქ შეგროვილია შესანიშნავი კოლექციები კავკასიის ეტნოგრაფიიდან, არქეოლოგიიდან, გეოლოგიიდან, ბოტანიკიდან და ზოოლოგიიდან. ღირებულება ამ კოლექციების დანამდვილებით არ იციან, მაგრამ ყოველ შემთხვევაში აღემატება 500,000 მანეთს. ხოლო თუ მხედველობაში მივიღებთ რამდენი შრომა წავიდა ამ მასალის შეკრებაზე, რამდენი დაიხარჯა კავკასიაში მოგზაურობის დროს მთელი ორმოცი წლის განმავლობაში, რა იშვიათია აქ შეგროვილი საგნები და რამდენათ შეუძლებელია ახლა მათი მოპოვება, ცხადია, მუზეუმის ღირებულება ფრიად დიდი იქნება; ეს დაწესებულება, რომელიც მუზეუმი შეიცავს იმდენ მასალას მთელი კავკასიის შესახებ, რომ მისი თანაბარი მთელ შიდა რუსეთში არაფერი მოიპოვება, მაგრამ მისი მიზანი ჯერ კიდევ შორსაა, რადგან ჯერ კიდევ ბევრი დრო და შრომა დასჭირდება კავკასიის ბუნების ყოველ მხრივ შეისწავლას.

შენობა, რომელშიაც მოთავსებულია მუზეუმი იმდენათ ვიწროა, ძველი და სასაშიშროა ცეცხლის მხრივ, რომ სრულიად უვარგისათ უნდა ჩაითვალოს. შენობა უთუოთ დაინგრევა მით უმეტეს, რომ თფილისში ხშირია მიწის ძვრა. თუ მუზეუმს დროზე არ ეშველა, ადვილი შესაძლოა ერთ დროს უმდიდრესი და დაუფასებელი კოლექციები შენობის ნანგრევებში მოექცეს და დაამარხოს. ამ რიგათ, დაიღუპება მთელი ორმოცი წლის ნაპირნახულევი“. (იხ. ნამესტნიკის „მოხსენება“).

როცა ეს კითხვა ირჩეოდა დუმაში, მეტათ ცხელი დრო იყო—ოც-ოცი კანონი ცხვებოდა ყოველ სხდომაზე. ასე რომ, არც ამ საკითხისთვის მიუქცევიათ დუმაში ყურადღება და არც მისი მოწინაღმდეგე გამოჩენილა მით უმეტეს, კავკასიის მთავრობა დიდ დახმარებას არ თხოულობდა.

მიუხედავათ ამისა ჩვენ მაინც მოვიყვანეთ ზემომოყვანილი ცნობა, რომ დაგვენახვებია ვისთვისაც ჯერ არას, თუ რა მდგომარეობაშია ადგილობრივი კულტურული დაწესებულებანი.

უმაღლეს სასწავლებლის საჭიროებაზედაც ჩვენ რაოდენიმეჯერ შევჩერდით დუმის ყურადღება, თუმცა, სამწუხაროთ, საკითხი ვერ განვმარტეთ ისეთის დაწვრილებით და ისე საბუთიანათ, როგორც საგანს შეეფერება.

ახლა კიდევ უნდა დავსვათ კითხვა: ყოველივე ამის შემდეგ რა საფუძველი და მოსაზრება აიძულებს პატივ ცემულ გაზეთ „დროებას“ სთქვას: დეპუტატ ჩხეიძეს ვერ მივაწვდით ცნობებს და მასალებს ადგილობრივი ცხოვრების შესახებ, რადგან, შეიძლება, ყველა ჩვენგან მიწვდილი ცნობა—მასალა ცხვირ-პირში მოგვახალოსო. მე აქ საკმაო ცნობები მოვიყვანე დუმაში ჩვენი მოქმედებისა ადგილობრივი კითხვების შესახებ. ეს ცნობები, ვგონებთ, კმარა, რომ ან ჰოითქვას ან არა ჩვენ კითხვაზე. აქ ორპოფ, ყალთაბანდური პასუხს ადგილი არ უნდა ქონდეს.

შეიძლება „დროებამ“ პასუხი არ გაგვცეს. ჩვენ ამას არ მოველით და ასეც რომ იქნეს, ჩვენ მაინც არ ვინანებთ, რომ ვოქვით ის, რაც უნდა გვეთქვა მეც და „დროებასაც“ გვყავს უმთავრესი მსაჯული, რომელიც მიუდგომელ მსჯავრს დაგვდებს. ეს მსაჯულია მკითხველი და ჩემი ამომრჩეველი.

ძ. ჩხეიძე.

დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

9 სექტემბერი.

სპარსეთი.

თეირანი. ყოფილი შახი მაჰომედ-ალი მშვიდობიანათ მივიდა ყაზვინში, ხვალ ენზელისაკენ მიდის.

ოსმალეთი.

სტამბოლი. გუშინ კუნძულ პრინკიპოზე პანაშვიდი გადაიხადეს ყირიმის ომში დახოცილ რუს ჯარის კაცთა სულის მოსახსენებლათ.

საგარეო საქმეთა მინისტრ რიფატ-ფაშას ლივადიაში თან მიყვება მისი კანცელიარიის უფროსი ტიგრან-ბეი და მისი ადიუტანტი ნაზიმ-ფაშა.

სალონიკი. ელბარანაში ალბანელთა კონგრესმა მიიღო რამდენიმე რეზოლიუცია ნორმალურ სკოლის ალბანელთა პატრიოტულ კლუბის, და საზოგადო დახმარების შესახებ. კორჩაში არსდება სკოლების დასახმარებელი კასა, კასა დახმარებას გაუწევს ალბანელთა ყველა სკოლებს. ითხოვენ სახელმწიფო დახმარებას სკოლებისთვის. ყველა სკოლებში, როგორც მთავრობის ისე კერძო, უნდა ასწავლონ ალბანური ენა. აზრათ აქვთ დააარსონ ალბანიაში სამეურნეო სკოლები. შემდეგი კონგრესი მოხდება 1910—1912 წელს.

სალონიკი. ჯევად-ფაშის ექსპედიციას ალბანელებთან შეტაკება მოუვიდა. ალბანელებს მოუკლეს 50, დაუჭრეს 100. ჯევად-ფაშას მოუკლეს 2 ოფიცერი და 6 სალდათი. დაუჭრეს 12. ჯევად-ფაშა დახმარებას ელის, რომ წინ წაიწიოს. სალონიკის ვალათ დანიშნეს შეიხულისლამის შვილი სახიმ-მოლა.

რუსეთი

ადესა. საღებავების და ლაქის საამხანაგო ქარხანაში ცეცხლი გაჩნდა. ზარალი 180,000 მანეთამდეა.

სარატოვი. ვოლსკის მაზრის სოფელ პეტროვსკაში ცეცხლმა გაანადგურა 23 სახლ-კარი. სერდობსკის მაზრის სოფ. პესჩანკაში 77.

სათავად-აზნაურო კრებამ სახელმწიფო საბჭოს წევრის ამომრჩევლათ აირჩია თავად-აზნაურთა საგუბერნიო წინამძღოლი ოზნობიშევ და კარიცინსკი-მელნიკოვი. საერობო კრებამ სახელმწიფო საბჭოს წევრათ აირჩია გრაფი ოლსუფიევი.

ვარშავა. ქალთა უმაღლესი კურსების დირექტორათ აირჩიეს პროფესორი ტრეპიცინი.

ორიოლი. საგუბერნიო საერობო კრებამ განიხილა საგუბერნიო დაწესებულებათა რეფორმის შესახებ კანონ-პროექტი. სასურველათ სცნეს იმავ წინადებური წესები დასტოვონ ზოგიერთი ცვლილებებით.

ჩერნიგოვი. ორი დღის საქმის გარჩევის შემდეგ გვარდიის ოფიცერ ივკოვს, რომელმაც დედა მოკლა, სასამართლომ თორმეტი წლის კატორღა გადაუწყვიტა. განაჩენის წაკითხვის შემდეგ ნაფიცმა მსაჯულებმა თხოვნით მიმართეს სასამართლოს თავმჯდომარეს აღძრან შუამდგომლობა ხელმწიფის წინაშე ეპატიოს სასჯელი.

ვორონეჟი. სახელმწიფო საბჭოს წევრათ ერობისგან არჩეულ იქნა მემამულე ლისანევიჩი.

რეველი. სახელმწიფო საბჭოს წევრათ მემამულეებმა ხელახლა აირჩიეს ბარონი დელლინგაუზენი.

მელიტოპოლი. დაიმტვრა საჩქარო მატარებელი. არავინ დაშავებულა.

პეტერბურგი. სახელმწიფო დუმაში შეიტანეს კანონ-პროექტი გადიდებულ იქნას 1910 წლის პირველ ივლისიდან სამრევლო სკოლათა მასწავლებლების ჯამაგირი, რისთვისაც გადადებულ უნდა იქნას 250,000 მანეთი. ჯამაგირები მოეტება ციმბირის, შუა აზიის და კავკასიის სამრევლო სკოლათა მასწავლებლებს.

ხარკოვი. სახელმწიფო საბჭოს წევრის კანდიდატათ სამღვდელოებამ აირჩია დეკანოზი ბიულკევიჩი.

კურსკი. სუდჟანსკის მაზრის სოფ. ლებედევკაში ცეცხლმა გაანადგურა 49 სახლ-კარი. ზარალი ზარალი 40,000 მანეთამდეა,

პეტერბურგი. ღია წერილით „ზემშჩინა“-ში, იუსკევიჩ-კრასოვსკი მიმართავს სრულიად რუსეთის თავად-აზნაურობას იშუამდგომლონ უმაღლესათ და შეძლება მისცენ მას დაიცვას თავი რუსეთის სასართლოს წინაშე.

სტავროპოლი. აღმოაჩინეს ყალბი ფულის ქარხანა. დაიჭირეს ორი კაცი.

სმოლენსკი. როსლავსკის მაზრის სოფელ პეშიკში დაიწვა 26 სახლ-კარი.

კიევი. დაიხურა მეფუტკრეთა სრულიად რუსეთის სიეზდი. შემდეგი სიეზდი მოხდება 1911 წელს.

ნოვგოროდი. საერობო კრებამ სახელმწიფო საბჭოს წევრათ აირჩია თავადი გოლიცინი.

ხოლერა.

ონეგა. ხოლერით ავათ გახდა 3, მოკვდა 2.

ასტრახანი. ავათ გახდა და მოკვდა 1.

ვლადივასტოკი. ავათ გახდა 3.

კოსტრომა. ორ დღე და ღამეში ხოლერით ავათ გახდა 16, მოკვდა 5.

პეტერბურგი. ავათ გახდა 33, მოკვდა 12, ავათ არის 351.

ბობროვი. ავათ გახდა ერთი.

კონვო. ავათ გახდა 5, მოკვდა 2.

საზღარ-გარეთ.

მადრიდი. მელილიიდან იტყობინებიან, რომ 7 სექტემბერს გაიღაშქრეს ბენისიკარების წინააღმდეგ. ისპანიის ჯარი შესდგებოდა 21 ქვეითა ჯარის ორი ესკადრონი კავალერიის და ერთი საველე და რამდენიმე სამთო ბატარეისაგან. სამი დუარი დანებდა და თავი შეაფარა ისპანელთა ბანაკს. ისპანელები განაგრძობენ იერიშს.

მელილია. ოფიციალური ცნობით ისპანელებმა სუერტუ დაიჭირეს. მტრებმა დიდი ზარალი ნახეს. ისპანელებს მოუკლეს 1, დაუჭრეს 28.

ტანჟერი. მახზენმა დაავალა მაჰომედელ-გებმას განუცხადოს დიპლომატიურ კორპუსს პროტესტი ისპანელების მოქმედების გამო, რომლითაც ალჟეზირასის აქტი დაარღვიეს. მახზენმა გაგზავნა რწმუნებულები მადრიდში, ზავის ჩამოგდების შესახებ, მაგრამ ისპანია მაინც განაგრძობს ბრძოლას. მახზენი თხოულობს სახელმწიფოების ჩარევას.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატამ მეოცდაათე სხდომაზე, რომლებიც საფინანსო ბილლის გარჩევას მოანდომეს, მიიღო რეზოლიუცია შემოსავლის კვალობაზე გადასახადის გადიდების შესახებ. ოპოზიციის ლიდერმა ბალფურმა მწუხარებით აღნიშნა, რომ შემოსავლის კვალობაზე გადასახადის გადიდება პირდაპირ აუცილებელი შეიქნა, რადგან მთავრობა არაფერ ზომებს არ ღებულობდა გადასახადის კანონის გაფართოების, და არც სხვა წყაროს ეძებდა.

ნიუ-იორკი. მეგობრებმა კუკი ბარუკლინში მიიწვიეს. ქალაქი გაჩირაღდნებული იყო. აუარებელი ხალხი მიეგება და დიდის ამბით მიაცილეს სახლამდე.

უკანასკნელი ფოსტა

ოსმალეთი

აჯანყება ალბანიაში. ალბანიაში გაგზავნილი ჯარის უფროსი, ჯევად-ფაშა ახალ დახმარებას თხოულობს. უსკიუბიდან მის დასახმარებლათ უკვე ოთხი ბათალიონი ჯარი გაიგზავნა. ჯევად-ფაშა ალბანელების სოფლებს ზარბაზნებს ესვრის. პრიზრელნის მიდამოებში მცხოვრები ალბანელები ხელსაყრელ მომენტს უცდიან, რომ ოსმალეთის ჯარს თავს დაესხან. აჯანყებულთა რიცხვი დღითიდღე მატულობს. ისინი თავს იყრიან მთებში, პრიზრანის სამხრეთ მხარეზე.

ქურთების აჯანყება. როგორ ირკვევა, ქურთების აჯანყებას ბარზანელი შეიხი ამზადებს. ამ შეიხს ახლანდელი სულთანი არ სწამს და დღემდე ლოკვებში ბადულ-ჰამიდს იხსენიებს. შეიხი მიზეზს ეძებს, რომ სამღვთო ომი გამოიწვიოს ახლანდელი მთავრობის წინააღმდეგ. ოსმალეთის მთავრობამ ქურთების წინააღმდეგ ჯარები გაგზავნა.

სპარსეთი.

შეკითხვა ინგლისის პარლამენტში. სათემო პალატის სხდომაზე დილონმა კითხვა დაუსვა გარეშე საქმეთა მინისტრს: გაგვაგებინე, როდისღა ველირსებით რუსეთის ჯარების სპარსეთიდან გაყვანას, თუ კი მათთვის ამ ჟამათ კაზვინში საზამთრო ბინებს აშენებენო. გრეიმ უპასუხა, რომ საზამთრო ბინების შესახებ მე არაფითარი ცნობა არ მიმიღია, არც ის ვიცი რამდენ ხანს დარჩებიან სპარსეთში რუსეთის ჯარები, სამაგიეროთ, მე საკმარისი საბუთი მაქვს რუსეთის მთავრობის დაპირებას ვენდოო.

მდგომარეობა სპარსეთში. რეაქციის შავი ღრუბლები სპარსეთში თანდათან სქელდება. კონსტიტუციონალისტები, რომელნიც დღევანდელი მთავრობის სათავეში დგანან, სახელმწიფო საქმეებში გამოუცდელობის გამო, ცუდ მდგომარეობაში არიან ჩავარდნილი. ჩამოგდებული შახის მომხრე, რახიმ-ხანი აშკარათ ილაშქრებს ახლანდელი მმართველი წრეების წინააღმდეგ. თეირანში ხმები დააგდეს პრინცი სალ. არა-დოულე, ყოფილი შახის ძმა, თანამგრძნობებს იკრებს თავის გარშემო. მას იმედი აქვს, რომ ძმის დაკარგულ ტახტს თვითონ დაიჭერს.

ქალაქის თვითმართველობა სპარსეთში. დროებითმა მეჯლისმა გადასწყვიტა დაუყოვნებლივ შემოიღოს თვითმართველობა შემდეგ ქალაქებში: თეირანში, თავრიზში და ისპაგანში.

სოფლების განადგურება. თეირანიდან იტყობინებიან, რომ მუსულმანების და სომხების რამოდენიმე სოფელი გაუნადგურებია მკარაცველთა ბრბოებს. წესიერების აღსადგენათ მთავრობამ ამ სოფლებში ჯარი გააგზავნა.

რუსეთი

დეპუტატის საჩივარი გენ. ტოლმაჩევის მოქმედებაზე. დეპუტატი ნიკოლსკი (ადესიდან) 2 ენკენისთვეს მინისტრ სტოლიპინთან იყო. დეპუტატმა დაწვრილებით გააცნო სტოლიპინს ტოლმაჩევის უკანონო მოქმედება. დეპუტატმა სტოლიპინის ყურადღება უმთავრესათ იმ გარემოებას მიაქცია, რომ ტოლმაჩევის მეთხებით პოლიციამ შეუძლებელი გახადა ადესის პროგრესიულმა ამრჩევლებმა მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის (პერგამენტის ადგილზე) არჩევნებში. „ყოვლის შემძლე“ გენერალს ბრძანება გაუცია თურმე, არავინ გაბედოს და გაზეთის ფურცლებზე პროგრესიული ამთჩევლების სია არ დაასახელოსო. ტოლმაჩევის უკანონო მოქმედებაზე ნიკოლსკის ბევრი სხვა ფაქტებიც მოუხსენებია.

იმავე დეპუტატ ნიკოლსკის სიტყვით დუმის მომავალ სესიაში აუცილებლათ შეკითხვა იქნება შეტანილი ტოლმაჩევის მოქმედების შესახებ.

დეპუტატი ჩხეიძე. როგორც ჩვენ გაზეთში გვქონდა აღნიშნული, ს.-დ. ფრაქციას დუმის მომავალ სესიაში სატუსაღოების შესახებ შეკითხვა შეაქვს. ამის გამო ოქტომბრისტები დეპუტატ ლერხეს აგზავნის რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში სატუსაღოების დასათვალიერებლათ. ოქტომბრისტებს სურთ მასალები შეაგროვონ, რომ სოციალდემოკრატების შეკითხვა გააბათილონ. ამიტომ დეპუტატ ჩხეიძესაც განუზრახავს ნებართვა ითხოვოს იმ ციხეების დასათვალიერებლათ, რომლებსაც ლერხე ინახულებს.

ისპანია

რეპრესიები ისპანიაში. ბარზელონიდან მიღებული ცნობებიდან სჩანს, რომ ისპანიის მთავრობა რეპრესიებს თან და თან აძლიერებს. მადრიდში მთავრობამ 120 სავრცო შკოლა დახურა. ამ შკოლების მომსვლელი ბედი სამღვდელოების სურვილზეა დამოკიდებული, რომელიც, თავის თავათ ცხადია, მათ სახლდროთ გასწყმედათ ყოველ დღის ეხმარება. მონტუანში რევოლუციონერების დახვრეტა ისევ გრძელდება.

ყანდარმის სიკვდილით დასჯა რა გორც ბარცელონიდან იტყობინებიან, აქ სიკვდილით დასჯისათ ყანდარმი. ამ ყანდარმს რევოლუციონური აჯანყების დროს ბარცელონაში ჯარისათვის წინააღმდეგობა გაუწევია და რევოლვერით რამდენიმე ჯარის კაცი დაუშავია.

პროტესტი რეპრესიების წინააღმდეგ. ინგლისის ბევრ ქალაქში მცხოვრებნი პროტესტს აცხადებენ ისპანიის მთავრობის მიერ კატალონიაში შემოღებულ სისტემატიურ რეპრესიების წინააღმდეგ. ამის წინააღმდეგ მიტინგი გაიმართა, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო. მიტინგზე გადაწყვიტეს შეეთხოვნენ, რომელშიდაც სასტიკათ კიცხონენ ისპანიის მთავრობას სამხედრო წესების შემოღების გამო.

რედაქტორების პროცესი. მადრიდში გაიმართა კრება, რომელზედაც გადაწყვიტეს დაჭერილ რედაქტორებისა. ერებს მიზნათ აქვს ბრძოლა გამოუცხადოს მთავრობას ახლად შემოღებულ მკაცრ სანსურურ წესების წინააღმდეგ.

საზღვარ-გარეთ

სუფრაჟისტკების მიტინგი. სუფრაჟისტკებმა დიდი მიტინგი გამართეს. მიტინგის თავმჯდომარემ სხვათა შორის სთქვა: „ცივილიზაციას გასცდება უკვე ნახევარი. მთავრობა ასეთი მდგომარეობიდან, ჩვენი ციხეებიდან გამწყვდევთ კი ვერ გამოგვა, არამედ სასრჩვნო უფლების მოცემით. მაშინ ჩვენ ხელს ადარ გახლებთ მინისტრებსო. ახლა ომობაში სუფრაჟისტკებს განზრახვა აქვთ ასკეტის სიტყვის დროს დიდი დემონსტრაცია მოახდინონ. ისინი იმუქრებიან, რომ კრებას ქაქანს დაგუშენთ და გავრეკავთო. მთავრობა ზომებს დებულობს. იმ დარბაზის სახურავს, სადაც სპიკერმა უნდა იდგმარაგოს, და რომელშიც მიტინგი უნდა მოხდეს, ხახა ზევიდან ფიცრებით გადახურეს. დარბაზში არც ერთ ქალს არ შეუშვებენ.

ბიულეტენი დეპუტატათ. გერმანიის ყოფილი კანცლერი ბიულოვი რეიხსტაგის დეპუტატობაზე კენჭს ერას ეზიარებს. მის წინააღმდეგ გამოვლენ ჯერ-ჯერობით ცენტრი, სოციალ-დემოკრატები და ცენტრი.

პროლეტარული ბრძოლა ბარცელონაში

(საკუთარი კორესპონდენტისაგან).

ბევრი დაიწერა ჩვენს გაზეთში ისპანიის ერთი კუთხის რევოლიუციონურ მოძრაობაზე, და აკი გვიკვირვებენ კიდეც მოპირდაპირენი, თითქოს ჩვენი ყურადღება უფრო უცხოეთისკენ იყოს მიქცეული, ვინემ ადგილობრივ ან საქართველოს ვითარებისკენ. ეს რომ მოგონილი ზღაპარია—თავის თავათ ცხადია, მაგრამ ჩვენ რომ უცხოეთს გაცილებით მეტი ინტერესით ვეპყრობით, ვინემ ამას ჩვენი მოპირდაპირენი სჩადიან, ესეც ცხადზე უცხადესია,—ამას გვიკარნახებს მთელი ჩვენი თვალსაზრისი, ჩვენი ინტერნაციონალიზმი...

მაგრამ კატალონია-ბარცელონის მოძრაობაში ერთმა ისეთმა მოვლენამ იჩინა თავი, რომელიც განსაკუთრებულ ინტერეს უნდა გვიღვიძებდეს სწორეთ ჩვენ, ქართველებს. ჩვენ ყველას ჯერ კიდევ ცხადათ გვიდგას თვალწინ საქართველოს რევოლიუციონური გამოლაშქრება და მისი შედეგი. ჩვენ ვეჩეხებით ერთ უტყუარ და საბედისწერო მოვლენას: საქართველო ფეხზე დგას და მზათაა შეუტიოს ბნელ ძალებს; მაგრამ რუსეთი, ეს ვეება სახელმწიფო, უძრავია საერთოთ, ის შეირყა შიგნიდან, ადგილ-ადგილ მის ნაწილებში ბუკი-ნაღარის ხმაც კი გაისმის, მაგრამ, როგორც ვთქვით, საერთოთ ის გულგრილათ. გამოიყურება. წარმოდგა საშინელი ტრაგიზმი: აბობოქრებულ საქართველოს ფრთები ძირზე შეაკვეცა საერთოთ მდუმარე რუსეთმა, ადგილობრივი გამარჯვება მსხვერპლათ შეეწირა საერთო დამარცხებას, იარაღი დაყრილ იქნა და დაიწყო შავ-ძალთა მძვინვარება.

სწორეთ ასეთ საბედისწერო მოვლენას ვეჩეხებით ისპანიაშიც. იქაც ნამდვილ აქტიურ მოძრაობაში ჩაება მხოლოდ ერთი ნაწილი კატალონია, განსაკუთრებით მისი სატახტო ქალაქი ბარცელონა. პირველ შეტაკებისათანავე ბარცელონა და საზოგადოთ, კატალონიის ბევრი სხვა ქალაქ-დაბები რევოლიუციონურ ხალხის ხელში გადავიდა. ადგილობრივი სამხედრო ძალა თითონ არის უკმაყოფილო და ხალხის დასარბევათ გამოუსადეგარი, სამოქალაქო ორგანოები ძალზე დაფრთხალია და დაფანტული. ასეთ პირობებში თითქო ხალხის საქმე ძლევა-მოსილია და მას შეუძლია მართვა-გამგეობას სათავეში მოექცეს. მაგრამ ეს ასე არ ხდება. თუ ზოგად გამონაკლებს არ მივიღებთ სახეში, ხალხი საერთოთ არ სარგებლობს თითქო მოხერხებული შემთხვევით, იგი არ კისრულობს მართვა-გამგეობას, ყრის იარაღს და გზას უცლის გარედან მოზღვავებულ სამხედრო ძალას, რომელიც დღესაც შეუბრალებლათ მძვინვარებს. რაშია საქმე? იმაში, რომ დანარჩენი, ანუ უდიდესი ნაწილი ისპანიისა სდუმს, საბედისწეროთ სდუმს! რაღა შეეძლო მარტო კატალონიას, ან რეალურათ, მარტო

ბარცელონას, მთელი ისპანიის წინააღმდეგ? **არაფერი**,—აი ტრაღიკული პასუხი. „როგორც კი გამოირკვა,—ამბობენ ერთხმათ მოძრაობის მთავარენი,—რომ ისპანია უძრავი იყო და საქმე მარტო კატალონიაზე მიმდგარიყო, ჩვენთვის ცხადზე უცხადესი იყო გარდუვალი დამარცხება, ამიტომ უაზრო იყო ბრძოლის განგრძობა, და ეს უფრო იმიტომ, რომ უამისოთ მტრებს საბუთი ეძლეოდათ შეეზიზღებიათ დანარჩენ ისპანიისათვის ჩვენი მოძრაობა, როგორც **სეპარატისტული ნახტომი!**“.

რასაკვირველია, ზემო მოყვანილმა მზგავსებამ არ უნდა დაგვავიწყოს ის დიდი განსხვავება, რომელიც არსებობს ჩვენი და კატალონიის მოძრაობის შუა. ისპანიის სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური ვითარება დიახაც ჩამორჩება ევროპის სხვა სახელმწიფოთა ვითარებას, მაგრამ რუსეთთან შედარებით ის მაინც უფრო მაღალ საფეხურს ეკუთვნის. იქ დიდი ხანია არსებობს, ასე ვთქვათ, პრუსიისებური კონსტიტუცია და მართვა-გამგეობაში გაბატონებულია შეძლებული კლასები და არა ბიუროკრატია, როგორც რუსეთში. ხალხურ მოძრაობას კატალონიაში საბაბათ დაედო მსხვილ ბანკირ-კაპიტალისტთა **ახალი** კოლონიალური პოლიტიკა და მისი აუცილებელი შედეგი—ომი. მასთან, მოძრაობა დაუპირდაპირდა მსხვილ კაპიტალისტურ და მიწათმფლობელ კლასებს, აგრეთვე სასულიერო და მაღალ სამხედრო წოდებათ.

მეტსაც ვიტყვით: კატალონიის მოძრაობა ხდება წმინდა ბურჟუაზიულ ატმოსფერაში, ამიტომ იგი წმინდა პროლეტარულია. ამას განსაკუთრებით ის უწყობს ხელს, რომ კატალონია ყველაზე უფრო დაწინაურებული კუთხეა მრეწველობა-აღებ-მიცემობის მხრივ მთელს ისპანიაში და ბარცელონა მისი ნახევარმილიონ მცხოვრებით იგივეა ისპანიისათვის, რაც მანჩესტერი ინგლისისათვის. მაშასადამე, მოძრაობის ნამდვილ ძარღვს კატალონიაში წარმოადგენდა პროლეტარიატი, რომლის მკერდიდან წარმოიშვა, როგორც მეთაური, ისე საიდუმლო ორგანიზაციებიც. მოძრაობის იდეოლოგია იყო სოციალისტური და ანარქისტული, მაგრამ ცენტრალისტურ თვალსაზრისის ჭარბობა გვარწმუნებს, რომ უპირატესობა პირველ მიდრეკილებას უნდა ჰქონოდა.

ნუ დავივიწყებთ, კატალონიაში საკმაო ძლიერი რესპუბლიკანური პარტიაც არსებობს, რომელიც წინამძღოლობს წვრილ მოქალაქეთ და გლეხობის ნაწილს. ეს წრეები და კლასები უფრო თანაგრძნობით ეგებებიან მოძრაობას და მონაწილეობასაც იღებენ მასში აქა იქ, მაგრამ ისინი ყველგან **მიმყოლნი** არიან და ერთხელაც არ მოყოლიან მოძრაობას სათავეში.

ინტერნაციონალის მატიანეში მით უფრო საგულისხმოა და დიდი ასოებით აღსაბეჭდი ბარცელონის მოძრაობა, რომ ის პირველია პარიზის კომუნის შემდეგ, **სადაც პირველი და წინამძღოლის ალაგი პროლეტარიატს უჭირავს.** ერთი ნაბიჯიც კია ამ მხრივ წინ გადადგმული. კომუნაში მეთაურობა წვრილ ბურჟუაზიულ ინტელიგენციას ხვდა უმთავრესათ, ბარცელონაში კი, მის ადგილს იჭერს შეგნებული პროლეტარული ჯგუფი.

ამის შემდეგ რაღა საკვირველია, თუ ბარცელონის პროლეტარიატმა გამოიჩინა ის **ცენტრ-მლტოლველი** გამჭრიახობა, რომელსაც თავში შევეხეთ და რომელიც ფატალურათ საშინელ დამარცხების წინამორბედი უნდა გამხდარიყო. პროლეტარიატის ბუნება ყველგან და ყოველთვის სეპარატიზმის და კუთხობრივ „პატრიოტიზმის“ მტერია. აი, რა არის ჩვენთვის, პირველ რიგზე, საგულისხმო, და რა ავიწყდებათ ჩვენს მოკეთე მოპირდაპირეთ.

ერთი ვინმე.

ახალი ამბები

თფ. ტრამვაი. 7 სექტემბერს თფილისის ტრამვაის დირექციამ განცხადება გამოაკრა, რომლითაც მოძრაობის („დვიჟენიის“) ყველა მოსამსახურეების საყურადღებოთ აცხადებს, რომ 10 სექტემბრიდან ძალაში შევა უმთავრეს რწმუნებულ ლებონის მიერ შემუშავებული ახალი ისტრუქცია და ვისაც არ სურს ახალ პირობებში სამსახური, 10 სექტემბრამდის შემოიტანონ წერილობითი განცხადება და მიიღონ ყოველგვარი ანგარიშებიო. მოსამსახურეებში დიდი უკმაყოფილება დაბადა ამ განცხადებამ და 9 სექტემბერს მოიწვიეს საერთო კრება და დაადგინეს: ვინაიდან უმთავრეს რწმუნებულ ლებონსა და ჩვენ შორის არ დასრულებულა მოლაპარაკება ამა თუ იმ ინსტრუქცია-ხელშეკრულების შესახებ, წინადადებას ვაძლევთ დირექციას რომ ხელმეორეთ გამართოს მოლაპარაკება, და თუ ჩვენი მოთხოვნილება დაკმაყოფილებული არ იქნება, ჩვენ დირექციის მიერ აღნიშნულ 10 სექტემბრიდან ვსტოვებთ ადგილს და ძველი ხელშეკრულობის თანახმათ მოვითხოვთ ანგარიშებს. კრებამ აირჩია დელეგატები, რომლებიც გააცნობენ ტრამვაის დირექციას ყველა მოსამსახურეების აზრს და დირექციის მიერ 7 სექტემბერს გამოკიდულ განცხადების გამო გამოწვეულ უთანხმოებას გააცნობენ ადგილობრივ ადმინისტრაციას.

ხმოსნის ა. ი. ვართანოვის დაკრძალვა. გუშინ დაკრძალეს თფილისში ამ დღეებში გარდაცვლილ ხმოსნის ექ. ა. ი. ვართანოვის გვამი. მიცვალებული დილის 10 საათზე გამოასვენეს თვის ბინიდან, გიორგევის ქუჩ. და წაასვენეს მოგნინსკის ეკლესიაზე, სადაც გადახდილ იქნა პანაშვიდი, ხოლო იქიდან წაასვენეს ხოჯევანქის სასაფლაოზე. კუბოს ამკობდა გვირგვინები: ქ. თფილისიდან, თფ. უსახელო საზოგადოებისაგან, სახელოსნო სკოლის მასწავლებლებისაგან და სხ. სულ 10-მდე. დაესწრენ ქალაქის თავის მოადგილე ა. ხატისოვი, უსახელო საზოგადოების წარმომადგენელი გისი, სამოქალაქო სასწავლებლის სასწავლებლის მასწავლებლები, სახელოსნო სკოლის მოსწავლენი მასწავლებლებით და სხვა საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენელნი და განსვენებულის ნათესავები და ახლო ნაცნობები.

ცეცხლი. „თფ. ფურც.“ დეპეშით ატყობინებენ ქუთაისიდან: „6 სექტემბერს ღამით ცეცხლი გაუჩნდა შორაპნის მაზ. მუხრანის აგარაკს, რომელმაც შთანთქა 500 დეს. ტყე. აქედან ცეცხლი ქუთაისის მაზრაშიაც გადავიდა და იწვის რაჭის მთები; მოსალოდნელია ცეცხლმა იმსხვერპლოს ტყიბულის ქვა-ნახშირის მადნები და ახალსოფლის სახანძრო ტყე. ნაქერალის უღელტეხილით მიმოსვლა შეუძლებელი შეიქნა კვამლისაგან. გენერ.-გუბერნატორის განკარგულებით ტყიბულით გაიგზავნა ჯარის-კაცთა ორი ბათალიონი“.

თფ. ქალაქის საბჭოს სხდომა. ორშაბათს, 7 სექტემბერს მოხდა თფილისის ქალაქის საბჭოს სხდომა. სანამ სხდომა გაიხსნებოდა პანაშვიდი გადაიხადეს პარიზში გარდაცვლილ ყოფილ ქალაქის თავის ა. ს. მატინოვის სულის მოსახსენებლათ, ხოლო სხდომის გახსნისას, ქალაქის თავის მოადგილემ ა. ხატისოვმა წაიკითხა განსვენებულის ანდერძი და მოახსენა სხდომას ის ზომები, რაიც მიღებულ იქნა გამგეობის მიერ განსვენებულის გვამის დაკრძალისათვის. ყველა დადგენილებანი გამგეობისა ამ საქმის შესახებ სხდომამ მოიწონა და ერთხმათ მიიღო. შემდეგ ამისა ა. ხატისოვმა მოახსენა კრებას ხმოსნის ექ. ა. ი. ვართანოვის გარდაცვალების ამბავი და მოკლეთ აღნიშნა განსვენებულის უანგარო მოღვაწეობა ქალაქის საქმეებში. კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულის ხსოვნას და პ. ი. თუმანოვის წინადადებით, მგლოვიარობის ნიშნათ სხდომა დაიხურა.

ახალი მასწავლებლები სახ. უნივერსიტეტის სკოლებში. კვირას, 6 სექტემბერს მოხდა სახალხო უნივერსიტეტის სასკოლო ქართული სექციის კრება. კრებამ წინა კრებაზე დასახელებულ კანდიტატებიდან ამოირჩია ორი მასწავლებელი: ერთი ვერის, ხოლო მეორე—გოლის ქუჩ. არსებულ სკოლისათვის. პირველ სკოლისთვის აირჩიეს მასწ. ვლ. იოსელიანი, ხოლო უკანასკნელისთვის—მ. კუკულავა. სახ. უნივერსიტეტის გამგეობამაც 7 სექტ. კრებაზე, მიიღო და დაამტკიცა ეს მასწავლებლები. პირველი მიღებულ იქნა ერთხმათ, ხოლო უკანასკნელი 3 ხმით, წინააღმდეგ ორისა.

ქალაქის საფინანსო კომისიამ 1910 წ. ხარჯთაღრიცხვის საკითხის განხილვის დროს, სხვათა შორის, იქონია მსჯელობა ქალაქის განათებისთვის სესხის გადიდების შესახებ და დაადგინა მოემატოს სესხს 20,000 მან. ეს ფული განსაკუთრებით უნდა მოხმარდეს ქალაქის განაპირა ადგილების განათებას.

ახალი სამკითხველო. გუბერნატორმა ნება დართო ქ. შ. წ. კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გახსნას სოფ. ქვემო-ჭალაში (ქართლი) უფასო ბიბლიოთეკა—სამკითხველო.

გადმოსახლებულთათვის მიწების დათვალიერება. ამას წინათ აქ ჩამოვიდენ ყუბანის ოლქ. ხოდოკები, რომელთაც მინდობილი აქვთ გადმოსახლებულთათვის ადგილ-მდებარეობის დათვალიერება. მათ უკვე შემოიარეს კახეთი და ბორჩალოს მაზრა. ნახეს თავისუფალი ადგილები ყარაიაში, სადაც განზრახვა აქვთ გადმოსახლდეს 100 კომლი.

ადმინისტრატიული წესით გადასახლებულის შეპყრობა. 7 სექტემბერს, ძე 4 საპოლიციო ნაწილში პოლიციამ დააპატიმრა ადმინისტრატიული წესით საგენერალ-გუბერნატოროდან გადასახლებული და თავის ნებით დაბრუნებული გიორგი ალავერდოვი.

დეპ. სევ. ჯუღელის ოჯახობის სასარგებლოთ მივიღეთ კ. ლომჯარიასაგან 4 მ. 30 კ. შემომწირველთა სია: ცომაშვილი 10 კ.; ლომჯარია 20 კ.; შახნახაროვი 5 კ.; დ. საავოვი 10 კ.; ტიბილოვი 20 კ.; ვ. ხმალაძე 20 კ.; კუპარაძე 20 კ.; ლოცაბიძე 20 კ.; კარაპეტოვი 20 კ.; შახნახაროვი 15 კ.; ნახარეტოვი 10 კ.; კარაშოვი 5 კ.; აგაბეკოვი 15 კ.; კირმოიანცი 10 კ.; კალანდაროვი 20 კ.; კარაპეტოვი 10 კ.; ხორატელი 10 კ.; ფალავანდიშვილი 15 კ.; შალამბერიძე 30 კ.; გარსევანოვი 10 კ.; ნაცვლიშვილი 15 კ.; ცვეტარიძე 15 კ.; ხიჩატუროვი 15 კ.; უზნაძე 10 კ.; მეფარიშვილი 20 კ.; ს. ზუბაძე 10 კ.; ქელბაქიანი 20 კ. მალანია 20 კ.; მხინკოიანცი 10 კ. სულ 4 მ. 30 კ.

—

შეცდომის გასწორება. „მზმავდი“-ს 11 №-ში თფ. სახელმწიფოდან კორესპონდენციას შეცდომით წერია: ბოგანო, უნდა იყოს: **ბოგუნო.**

პატარა ფელეტონი

დუბროვინის მოწოლტვი.

დაჭერის მოლოდინში დუბროვინი პეტერბურგს სტოვებს და იალტაში გადასახლდება. ცოტა ხნით გაზეთებსაც აღარ კითხულობს, ეგების ჩემი უბედურობა დავივიწყოვო. მაგრამ ეს საქმეს არ შველის. მისდა საუბედუროთ, ყოველ ადგილას მის მომმავალ გასამართლებაზე ლაპარაკობენ. ბოლოს ექიმი სახლში ჩაიკეტება და გარეთ აღარ გამოდის.

მსუქანი სადილით დანაყრებული „კავშირის“ შეფი საწოლ ოთახში შედის. სამხრეთის მხრით კედელზე ჩამოკიდულია პატარა ხავერდის ბალიში, ბალიშზე ჭეშმარიტ რუსთა კავშირის ვერცხლის ნიშანია დამაგრებული, ამავე კედელთან მიდგმულია ფართო რკინის საწოლი. შეფი საწოლზე გადაგორდება, ხელებს არაყისაგან გახურებულ თავ ქვეშ ამოიდებს, გაუხდელ ფეხებს საწოლის რკინის ჯოხებზე გააწყობს და ოცნებობს.

უცბათ მოაგონდება ფინლიანდიის სასამართლო და უსიამოვნო-მოუსვენარ მდგომარეობაში ვარდება. თვალებს ხუჭავს და ცდილობს დაიძინოს, მაგრამ ცდა და უაზროთ ლოცვის ბუტბუტი უნაყოფოთ რჩება. უსიამოვნო ფიქრები ერთიმეორეს მოსდევენ, მოუსვენარობა და აღელვება თავისას შვება. დუბროვინი თვალებს აჭყეტს, სიჩუმეს არღვევს და ხმამაღლა დაიწყებს:

ოხ! ოხ! დაწყევლილები! ჟიდები! ჯოჯოხეთის მოციქულები!. მათგან ხომ „ჭეშმარიტ მოღვაწეს“ მოსვენება არა აქვს? ხან რას მოჩმახავენ და ხან რას? ავიღოთ თუნდა ჩემი მდგომარეობა: მთელი ჩემი სიცოცხლე მეფისა და სამშობლოსადმი სამსახურს შევსწირე ჩემ პირდაპირ მოვალეობას—ექიმობასაც კი თავი დავანებე და „პოლიტიკური მოღვაწეობა“ დავიწყე, რომ იაპონელებისაგან მოყიდული „კრამოლნიკების“ მოქმედება მომესპო და მათგან დამფრთხალი მთავრობა საშიშარ კონსტიტუციონური გზიდან ამეცდინა. ჩემი „სახელოვანი დრუჟინის“ შემწეობით კიდევაც მივაღწიე მიზანს. დღეს, ჩვენი მეოხებით, მთავრობის ოფიციალურ წარმომადგენელს—მინისტრსაც საშუალება ეძლევა დუმის ტრიბუნიდან საქვეყნოთ აღიაროს: „მადლობა ღმერთს, ჩვენ კონსტიტუცია არ გვაქვსო“. განა ჩვენ არ ავლაგმეთ ჟიდები დარბევა-დაწიოკების შიშით? განა ჩვენ არა ყართ მარჯვენა ხელი საიდუმლო პოლიციისა? განა ჩვენი კავშირის უმთავრესმა საბჭომ არ გადაწყვიტა ჟიდი გერცენშტეინის მოკვლა? ვინ იცის, რავდენი მოუსვენარი ღამე გამითევია, სანამ საბჭოს „წმიდა სურვილს“ სისრულეში მოვაყვანიებდი ჩვენი კავშირის დრუჟინიკებს?!

დეპ. რამიშვილიც (ფუი! გადააფურთხებს), ხომ ჩემი რჩევით კინაღამ საიქიოს გაისტუმრეს? განა შეიძლება ყველა იმ აქტების აღნუსხვა, რაც კავშირის ლოცვა-კურთხევით და ჩემი ხელდასმით რუსეთის გაშლილ ტერიტორიაზე მომხდარა?

მერე, დააფასა კი ვინმემ ჩემი ამდენი ღვაწლი? (გაზეთიდან ამოჭრილ ქალალდის ნაჭერს იღებს მაგიდიდან. კითხულობს: „უკვე არსებული სისხლის სასამართლოს წარმოების წესის მიხედვით სამინისტრო განმარტავს, რომ ყოველი აქტი, რომელიც სისხლის სასამართლოს ექვემდებარება, იქ უნდა იქნეს გარჩეული, სადაც ამ აქტს ადგილი ჰქონია. ამ განმარტების ძალით ფინლიანდიის სასამართლო კანონიერათ იქცევა, როდესაც განმარტების ძალით ფინლიანდიის სასამართლო კანონიერათ იქცევა, როდესაც დუბროვინს ფინლიანდიაში იბარებს გასასამართლებლათ“.

აი რას მეუბნება მთავრობა, ის მთავრობა, რომლის პრესტიჟის გასამართლებლათ არავითარი საშუალება არ დამიზოგავს!!. ფინლიანდიის სასამართლო კანონიერათ იქცევა! ჰმ! მაშ, ჩემი ჯიუტობა უკანონო ყოფილა? **Нѣтъ братъ!.. Этого ужъ вытѣрпеть никакъ нельзя!.**

კრამოლნიკის, ჟიდის გულისათვის დაწყევლილმა ფინებმა, ჩემდა უნებურათ უნდა მათრიონ!? მთავრობაც მათ ეთანხმება. მაგრამ არა, მე მთავრობას დავუმტკიცებ, რომ ფინები სეპერატისტებია, რომ მათ თავიანთი საკუთარი რესპუბლიკა უნდათ საკუთარი მეფით... (ცოტა ფიქრის შემდეგ) მგონი რესპუბლიკაში მეფე საჭირო არაა, ამას ხომ ჩემთვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს... მე მთავრობას დავუმტკიცებ, რომ ფინელი მოსამართლეები სუყველა სოციალდემოკრატებია... ეს კი ბულაცელმა გადმომცა, თუმცა მეც ამავე აზრის ვიყავი მათზე.

ესეც არ იყოს, მთავრობამ მგონი ისედაც არ გამცეს. ამ საუკეთესო საბუთს მაძლევს აზეფის მაგალითი. განა საკმარისათ არ დამტკიცდა, რომ აზეფი პლევეს და დიდი მთავარი სერგეის მკვლელობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა? როცა გაზეთებმა აზეფის უკანონო მოქმედებას შესახებ განგაში ასტეხეს, მახსოვს, მთავრობამ სტოლიპინის პირით განაცხადა: ჩვენ საბუთები არა გვაქვს აზეფის პროვოკატორობის შესახებ, რომ მის წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებას მსჯავრი დავსდოთო.

მოსალოდნელი იყო, თუ საბუთები აღმოჩნდებოდა, მთავრობას დანაპირები უნდა შეესრულებია, მაგრამ სინამდვილემ სულ სხვა გვაჩვენა. საბუთები საჭიროზე მეტი აღმოჩნდა, მარა მთავრობამ ისინი არ იცნო და აზეფი დღესაც მთავრობის მფარველობის ქვეშ იმყოფება.

მე მგონია, ჩემ შესახებაც ასე ცპიერათ იქცევა მთავრობა, როდესაც გაცემას მიპირებს. მას არ უნდა წინააღმდეგობის გაწევით საზოგადოებრივი აზრი ჩემ დანაშაულობაში დაარწმუნოს. ის თვითონ ეხმარება ფინლიანდიის სასამართლოს განმარტების სახით, მაგრამ ვნახოთ, როგორ ბრანწს უზამს ფინებს, როდესაც საქმე დანაპირების შესრულებაზე მიდგება!

ეს ასე უნდა იყოს. მე ამაში ეჭვი არ მეპარება. უჰ! პატარა თავისუფლათ ამოვისუნთქე. ეს ოხერი აზრი რატომ აქამდის არ მომივიდა ჩემს დიდ გოგრაში!?. ეს აუცილებლათ ასეა. მე თვითონ ვარ ამისი თავმდები...

სიხარულით ზეზე წამოვარდება. მაგიდაზე მდგომ ბრაყის ბოთლს საცობს მოაძრობს და ბულაცელის სადღეგრძელოს გადაკრავს ჩაის ჭიქით. შემდეგ მაგიდას მიუჯდება და სწერს:

В Петербург, в Главн. Совѣт С. Р. Н. От Рожд. Христ. 1909 года 1-го числа Сентября.

Дорогіе друзья, по славному прошлому! Категорически заявляю, что я, Дубровин в Финляндскій суд являться не намѣрен ни на лодкѣ—ни на дирижаблѣ ни на телѣгѣ—ни на кадетском автомобилѣ, ни в качествѣ свидѣтеля—ни, тѣм болѣе, в качествѣ обвиняемаго. Клянус головою Булацеля и бутылкой очищеннаго, что я не стану унижаться перед чухонским судом.

Ваш доблестный Предсѣдатель Док. Ду...

უცბათ კარი გაიღება, მოსამსახურეს გაზეთი შემოაქვს. დუბროვინი გადათვალიერებს ერთ გვერდს, შეჰხედავს მეორეს, მესამე გვერდზე პირველ სვეტში უცქირათ თავის გვარს პატრიოტ. თვალს ვერ აჯერებს და აჩერდება და კითხულობს: на мѣсто, замѣшаннаго въ убійствѣ Герценштейна Дубровина Петербургскій с. р. н. предсѣдателем намѣчает депутата Маркова, Скворцова и купца Баранова.

თვალები უბნელდება, გაზეთი ხელიდან უვარდება. ბოლოს სასოწარკვეთილი ამოიგმინავს: დავიღუპე, საბოლოოთ დავიღუპე! კავშირიც მღალატობს, ამხანაგებმაც დაივიწყეს ჩემი ღვაწლი... ჩემს ადგილზე კანდიდატებს აყენებენ. მერე ვის? თევზის წვენით გათხუპნილ ვაჭარს ბარანოვს! ოხ, ღმერთო ჩემო! ამას ვერ ავიტან... მეტის მოთმენა შეუძლებელია. ახლავე მთავრობას ვაცნობებ, რომ „რუსთა კავშირში“ ყველა მკვლელები-ტერორისტებია... კავშირის უმთავრესი საბჭო ავაზაკ-მძარცველებისაგან შესდგება... მათ ისეთი მძიმე დანაშაულობანი აქვთ ჩადენილი, რომ მათი სიკვდილით დასჯაც ცოტა იქნება... იქ, კავშირში სუყველა გარყვნილია სულიან-ხორციანათ... კავშირის არსებობა დღეიდან ყოვლად შეუძლებელია...

ამას ყველაფერს ვამცნობ მთავრობას. ვნახოთ, რაღა ჯანდაბის თავმჯდომარეთ აირჩევენ აქოთებული თევზით მოვაჭრეს... გაბრაზებული არაყის ბოთლს იატაკზე დაანარცხებს.

ამ დროს მოსამსახურეს ტელეგრამა შემოაქვს დუბროვინი გააფთრებული მივარდება და კითხულობს: დაუყოვნებლივ ნავთსადგურში გაჩნდი. ხომალდის ბილეთი აღებულია. შენს გასაქცევათ ყველაფერი მზათაა. იჩქარე. ყოველ დაკარგულ წუთს შეუძლია დაგღუპოს.—ბულაცელი. ნახევარი საათის შემდეგ კავშირის შეფი ხომალდით ევროპისაკენ მიქროდა. მას აღარც ფინლიანდიის სასამართლო ახსოვდა, აღარც კავშირის მიერ ახალი თავმჯდომარის დასახელება და აღარც ის, რომ, ნამეტანი სიჩქარით, კედელზე მიკიდული კავშირის ნიშანი საწოლ ოთახში უპატრონოთ დარჩა.

დონ-ჩინ.

ოზურგეთის რეალური სასწავლებელი.

—

როგორც ჩვენს მკითხველებს უკვე მოეხსენებათ, მთავრობამ უკან დააბრუნა ოზურგეთის მომავალი რეალური სასწავლებლის გახსნის თაობაზე შემდგარი „პრიგოვორები“. მიზეზი ის იყო, რომ განაჩენები მცხოვრებთა წოდებრიობის მიხედვით არ იყო შედგენილი, ყველა წოდების წარმომადგენელნი ერთათ აწერდენ ხელს. არსებული კანონის ძალით კი ყველა წოდებას ცალ-ცალკე უნდა შეედგინა თავისი განაჩენი. ამ გარემოებამ გამოიწვია ახალი წოდებრივი განაჩენების საჭიროთ შედგენის საჭიროება. და აი, საქმის მთაურები კვლავ შეუდგენ თავისი უნებლიეთი შეცდომის გასწორებას.

სამღვდელოებას უკვე შეუდგენია განაჩენი, რომლის ძალითაც თითოეული მღვდელი კისრულობს რეალური სასწავლებლის სასარგებლოთ ერთდროულათ ხუთი მანეთის გადახდას.

ამ თვის ექვსს, კვირას, ოზურგეთში დანიშნულია გურიის თავად-აზნაურთა კრება, რომელიც განიხილავს ამავე საკითხს. ეს წოდება, როგორც დანამდვილებით ვიცით, ისე სოლიდარულია ამ კითხვის შესახებ, რომ, ეჭველია, განაჩენს ერთხმათ დაადგენს *).

ახლა საქმე მიდგა გლეხთა საზოგადოებებზე. სასკოლო კომისია მაზრის უფროსის საშვალებით, რომელიც ამ კომისიის წევრია, ამ დღეებში მოწოდებებს გაუგზავნის ყველა სასოფლო საზოგადოებას და თხოვს მიიღონ მონაწილეობა რეალური სასწავლებლისთვის შენობის აგებაში და მოწყობაში შემდეგი პირობით: 1908 წ. აწერილობის თანახმათ თითოეულმა კომლმა უნდა იკისროს ერთდროებითი შემწეობის, ხუთი მანეთის გადახდა ორ ვადაზე: ნახევარი, 2 მ. 50., უნდა შეიტანონ მდგომარე წლის 20 ოქტომბრამდის (წიფობისთვემდის),

*) ეს წერილი კვირის ნომერში უნდა დაბეჭდილიყო, მარა უადგილობის გამო გადაიდო. **რედ.**

ხოლო მეორე ნახევარი მომავალია 1910 წ. პირველ მარიამობისთვემდის.

განაჩენებზე ხელის მოწერის დროსვე ხალხი აირჩევს ამ ფულის გამწერთ და ამკრებთაც. გაწერის სამართლიანობა უნდა გამოიხატოს იმაში, რომ იმ კომლის, რომელიც რამდენიმე მუშა შეძლებულ წევრთაგან შესდგება, მეტი შეაწეროს, ხელმარტოთა და ხელმოკლეთ შეღავათი მისცეს, ხოლო სრულიად უსახსრონი კი სულ გაათავისუფლონ. საერთოთ კი, თითოეული საზოგადოება იხდის საზოგადო თანხის იმ ნაწილს. რაც მას ხვდება კომლთა რაოდენობის მიხედვით.

სამწუხაროთ, გლეხკაცობაში ამ საქმის შესახებ ახლა ისეთი სოლიდარობა აღარ სუფევს, როგორიც თავდაპირველათ იყო. ცრუ-მქადაგებლებმა აქა-იქ უკვე აამღვრიეს წყალი, ეჭვი დაბადეს ხალხში და დეზორგანიზაცია შეიტანეს მის-მწყობრ მოქმედებაში.

გურიაში ერთი საშვალო სასწავლებლის გახსნის ბედ-იღბალი საბოლოოთ აი ახლა წყდება; ის სასოფლო საზოგადოებათა განაჩენებზეა დამოკიდებული.

თუ საზოგადოება საზოგადოებას გაუდგა, კუთხე კუთხეს დაუპირდაპირდა, ეს ამ კულტურული საქმის აშკარა ღალატი იქნება, ეს მოზარდი თაობის წინაშე გაუსწორებელი დანაშაულობის ჩადენა იქნება. ამ საქმის განხორციელება არც რომელიმე წოდებას ცალკე, და არც რომელიმე კუთხეს კერძოთ არ შეუძლიათ. ამისთვის საჭიროა ყველა წოდებათა და საზოგადოებათა ერთსულოვნება და სოლიდარობა.

გურულებ დიდი სიფრთხილით უნდა მოეპყრან თავის სახელს და შეგნებას, რომ მათზე არ გამართლდეს ნაპოლეონ დიდის სიტყვები: „დიდებულისაგან სასაცილოთ გახდომას ერთი ბიჯი ღა მაკლია“-ო.

ჭალარა.

ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ქ. თელავი. თელავის მცხოვრებნი გონებრივათ ძალიან დაქვეითებულნი არიან. სხვათა შორის ამას ისიც მოწმობს, რომ თელავში არ მოიპოვება არც ერთი კულტურული დაწესებულება. არ შეიძლება ითქვას, რომ თელავში არ არიან ინტელიგენტური ძალები, მარა ისინი ძალიან უმოქმედობას იჩენენ. 15 ათას თელავის მცხოვრებლებისას აქვთ ერთი სამკითხველო და იმისი კარები დღეს თუ ხვალ გამოიკეტება უსახსრობის გამო. გამგემ იმედი არ გაამართლა და თავის მოვალეობის გულგრილათ გეიდება. საჭიროა ახალი ძალები, საჭიროა ერთსულოვნობა, რომ ერთად ერთი სიმპტომური დაწესებულების კარების გამოკეტვა თავიდან ავიცილოთ.—აქ არ მოიპოვება განსაკუთრებული შენობა, სადაც შეიძლებოდეს დექციების კითხვა და წარმოდგენების მართვა. წარმოდგენებს სდგამენ საკრებულო დარბაზში. უ?ამო ქორა, არა უქმე დღით დადგმა, ძალიან დიდი ფასები და თქვენ ნათლათ წარმოგიდგენიათ თუ გისთვინ იდგმება წარმოდგენა! ნუ თუ არ არიან სადხი, ნუ თუ არ შეუძლიანთ, რომ მოაწყონ რამე საუდიტორიაის მსგავსი? არის სუფლიორი, არის ძალებიც, არიან დრამატიული დასის არტისტები (მუდმივი მცხოვრებნი) აწუწუნდი, წკლიძე; საზოგადოში ამ მიზნისათვის არის შეგროვილი ფონდი თანხაც: საჭიროა მხოლოდ ფონდით თუ ბეგრათ თავის გაცხელება და აი უველა ამას გაურბიან. ფიქრობდენ კომსაზიის გახსნას და ფიქრი მწარე ფიქრათ დარჩა.. გაითვალისწინეს პროგიმნაზიის გახსნა და აქ კი ქიშპობამ იჩინა თავი. ბოლოს, თუმც შეთანხმდენ, მარა განახორციელებენ ისინი თავიანთ სურვილს თუ არა, ამის თქმა ძნელია.

იმერეთი. ძლიერი და მუდმივი გვალვები თავზარს სცემს მთელ იმერეთს. ბეგრ ადგილს გაბანეს წმინდა ხიტები, ბეგრი ადგილის წვიმის მოსვენებათ, მაგრამ ამოთ; მთელ ზაფხულში თითქმის წვიმა სრულიად არ მოსულა. მცენარეებმა ფერი იცვალეს. ფენახები დაღრა. სამინდი ბეგრ ადგილას ტაროს არ იკეთებს. ამხმარი ყანები ბეგრ ადგილას აშრეს და ჩალათ ინახვენ. სიმშილობა საშინელებელია. ეს გარემოება ისედაც მეთქმა-მოთქმას იწვევს. ვინც მოახერხა და ყანების მოსარწყავათ წყალი იშოვა, მას კიდევ არა უშავს, სარჩო სიმინდი მაინც მოუვა, უმეტესობა კი სარწყავ წყალს მოკლებულია. ეს იწვევს სოფლებში სარწყავ წყლის გასაყენ არხების საჭიროებას. მთელ იმერეთში არსებობს ორი წყლის სარწყავი რაიონი—ხონისა და რაიონის; ეს რაიონები გვრ უოფნის ყველა სოფლებს და უმეტესობა უწყლოთ რჩება. ახლო მომავალში მოხდება ხონის წყლის „ოკრუგის“ წევრა კრება. ბეგრ სოფელს სურვილი აქვს ბაუწეროს წევრათ, სოსდნელია, რომ მთელი ქვემო იმერეთი მიიღებს ამ საქმეში მონაწილეობას.

— არსებულ სარწყავ წყლის რაიონებში საქმეები ძალიან მოუწესრიგებელია. რწყვის დროს გლეხები ერთი მეორეს ეჯიბრებიან, ერთი მეორეს სტაცებენ წყალს და ერთმანეთს თოხებით თავებს უმტვრევენ. ასეთი მაგალითები არა ერთი და ორი მომხდარა. ხან-და ხან მთელი კვირაობით და თვეობით წყალი ვინებში გაჩერებულია, ამ ხნის განმავლობაში წისქვილები გაჩერებულია და სახლი უფქვილობით სიმშილს გაიცდის. სიწორა ამ გარემოებას სერიოზული ყურადღება მიექცეს.

— მოახლოვდა სწავლის დაწყების დრო თუ არა, ბეგრს სამოსწავლო წიგნებზე ფული მოგების საგრძნობი დაება. ამათ რიცხვში ქუთაისის გიმნაზიის მოსწავლებიც—ოცხელი, მისი ძმა და მოყვრებიც წაწერეს. „შეა დღემდე ასწავლიან, ხოლო შეა დღის შემდეგ გვკრობას ვეღარ“,—ამბობენ ქუთაურები.

ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲤᲝᲗᲝᲔᲚ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ.

ეს რამდენჯერმეა, რაც ჩვენ გვიხდება წერა კოოპერატივზე ფოთელ მუშათა შორის. ჩვენ „ჩვენი აზრის“ № 24 და № 43 მოგვითხრეთ წერილები, რომლებშიაც ადგნიშნეთ აქ (ფოთში) კოოპერატივის დაარსების ისტორია და ის თანდაყოლილი სენი, რომელმაც თავი იჩინა კოოპერატივში და რომელიც შემდეგ მსხვილ განხეთქილებით ჩამთავრდა. ჩვენ გწერდით: „მაგრამ მუშების გულმხურვალეობის გამო მის (კოოპერატივის) გამგეობაში მოხვდენ ისეთი პირნი, რომლებიც ძირს უთხრიან ყოველგვარ საქმეს: ამ ვაჭარტანზე ბეგრს სტკივდა გული და რამდენჯერმე მოინდომეს მისი გადაყენება, მაგრამ მას ფარად ცნობილი ინტრიგანები ამოუდგენ გვერდში და დაიწყეს აგიტაცია უმწიკვლო მუშაკთა წინააღმდეგ და თვითონაც გაიტანა.

ჩვენ ამ წერილით გვმენდა საზოგადოების საქმის გათარება, მივუთითეთ ამაზე, თუ რა დრინდა კოოპერატივს, რა ეღობებოდა მის წინმსვლელობას. ამით ერთი მხრით ფარათ მასას გვეენებდით გარკვეულ მდგომარეობაში და მით, თუ შეიძლება ასე ითქვას, შემდგომისთვის გვინდოდა დაგვეზღო ის ასეთ „მახინჯებიდან“, რომლებიც ძირს უთხრიან უოველგვარ საქმეს. თავის თავით ცხადია, სანამ გაინეთქილება უმწვავესს წერტილს მიაღწევდა, მანამ ჩვენ ბეგრი ძვირფასი დრო დავხარჯეთ ამის დასამტკიცებათ, რომ ეხლანდელი პირები „არაა საკურველი კანდიდატი გამგის თანამდებობაზე, რომ ისინი მათი ამოდ-დამოდით ძირს უთხრიან კოოპერატივს“ და სხვა. ჩვენ გამოვდიოდით არა პირად სამჯერატის ანტიპატიიდან, არამედ საერთო ინტერესებიდან. საამწუხაროთ, ჩვენი საბუთებით მოწინააღმდეგენი არ კმაყოფილდებოდენ და მას სწორედ ჩვენ პირად „ინტერესებით“ ხსნიდენ და ეს, რა თქმა უნდა, მათთვის ხელსაყრელი იყო, ამას მოითხოვდა არსებითათ მათი პოზიცია. როცა ერთ საერთო კრებაზე ბ-ნ დ. მ—ძის წინააღმდეგ ამხანაგებმა წერილობითი საბუთიც კი წაუყენეს, მისმა მომხრეებმა ესეც „პირადი ინტერესებით“ ახსნეს და განაცხადეს: „ეგ საბუთი არაა, უოველ შემთხვევაში ისეთი, რომ მისი გამოტყვა იყოს საჭიროო“, ეს წერილობითი საბუთი (სხვა საბუთებს კარდა) იყო ბასუხი ხიდისთაველ ამხანაგების ჩვენ შეკითხვაზე. ისინი სწერდენ: „დ. მ—ძე ბეგრ ბრძოლებებში ერთი უკმე დაუმტკიცდა, ეს დემოკრატიის ბ—ს წინააღმდეგ ამხედრება, რისთვისაც ის დროებით გადაყენებული იყო და შემდეგ მისი თხოვნით და უკანასკნელი გადრახილებით მიღებული“. ჩვენის აზრით ასეთი საბუთი სრულიად საკმარისი იყო, რომ ბ-ნი დ. მ—ძე გამგის თანამდებობიდან გადაეყენებიათ, მაგრამ რაც უფრო ძლიერ საბუთებს ვუეენებდით მოწინააღმდეგეებს (მ—ძის მომხრეებს), მით უფრო მაგრათ ებღაუჭებოდენ მას და ამბიგათ განხეთქილება თანდათან აზრდებოდა. მ—ძე მისი მომხრეების წყალობით მუდამ უმრავლესობაში რჩებოდა. ის აკეენებდა თავისი საქმიანობით, უოფაჩოდა და ცხადია, ადგილიდან დაძვრას არც კი ფიქრობდა. კოოპერატივის საქმეები კი მისი გამგეობის დროს თანდათან უარესდებოდა. მ—ძის სათვეში დგომა კოოპერატივის ბეგრ წევრებს გულს უტეხდა საქმეზე, რადგან ისინი მას ნდობით არ უეურებდენ, რადგან მასზე ბეგრი რამ კვეგონათ. ასეთ გაწყა-მოწიაში იყო საქმე თითქმის 1908 წლის ნოემბრიდან 1909 წლის თებერვალ-მარტამდის. ბოდოს, ხანგრძლივი შეხდა-შემოხდის და ბრძოლის შემდეგ მ—ძე სიეროთ კრებაზე გაშვებულ იქნა და გადაეენებულიც. ამან გამოიწვია სრული განხეთქილება. მ—ძის მისი მომხრეებით კოოპერატივიდან გასვლა, მეორე კოოპერატივის დაარსება და არსებულთან დაბიბრძპირება. დაიხ, მ—ძეს მისი მომხრეები გაეენენ და მით ათას ერთხელ დასმტკიცეს, რომ მათ ანტერესებთ არა საერთო საქმე, არამედ მათი ფეტიში, მ—ძის ბიოგრაფია. მანამ, სანამ მ—ძე უმრავლესობაში იყო, მანამ, სანამ მას გაეენდა, მაშასადამე, თავისი კანდიდატები, მას და მის მომხრეებს ფიქრათაც არ მოსდით არსებულ კოოპერატივიდან გამოსვლა და მასზე დაბიბრძპირება. მოჰეენენ თუ არა უმცირესობაში, მაშინვე გადიდან „ჩაშოიბერტეენ ფეხთა მტეერი“ და შეუდგენ ახალი ეითომდა კოოპერატივის დაარსებას. ამით, ცხადია, დასმტკიცეს, რომ მათ საერთო საქმე იმდენათ აინტერესებთ, რამდენათ მასში ხეენენ დადგომს ან მის მსკვაეს ბირეებს, და მათ კარშემო იერთიან თავს. ეს მეტის მეტათ აშკარა.

რომ მარტო კოოპერატივის კარშემო ამტყდარ დავაში დაეჭირათ მ—ძის მომხრეებს განსაკუთრებული ბოზიცია, რომ მარტო ეს 1 გარემოება ახასიათებდეთ მათ, მაშინ კიდევ იტეოდა კიცი: „რა ეუეოთ! ბერეენებას მოუკიდეებია ისინი და ადრე თუ გეიან გამოერკეეევიანო“. მაგრამ სამწუხაროთ, სანამდეიდეში, და ისიც წელების განმავლობაში ასე რიდეა საქმე: კოოპერატივის კარშემო ატეხილი უთანხმოება (უფრო სასწორით რომ ეთქეათ „მ—ძის ბერეენების ირგედეე ატეხილი განხეთქილება“)—ეს „ძეელი დავა ახალ ქარგში, ეს ერთი გვარიატეისაგანია იმ უთანხმოებათა გრეეის, რომელებიც აქ ბერიდადიეეთ მეორდება ხოლმე, რომელსაც თავისი ისტორიული წარსული აქვს და რომლის წამომწეები ახის ის ჯგუფი, რომელიც დღეს ჩვენ მოწინააღმდეგეთ გამოდის. ამის იდეოსტრატიაა: დ—ნტ ბ—უედის ბროცესი, რომელიც ხსენებული ჯგუეის წედობით 1906 წლიდან 1909 წლამდის გრძელდება, მიუხედავათ იმისა, რომ ბ—უედი ათარებელი სიბუთებით უეეეს ინსტანციებში ორასჯერ იეო გამტეუნებული. მიუმატეთ ამას ზ—ვის ბროცესი, მიუმატეთ ს. გ—ძის საქმე და მრავალი სხვა და თქვენთვის აშკარა იქნება „ინტრიგის“ სათავე თუ სად მარხია.

(შემდეგი იქნება.

ვალია.

ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ

ს. ბალაჯარის ბუფეტის ხაზეინი და მოსამსახურეები. ხაზეინიც ასრის და ხაზეინიც, მაგრამ ისეთი ახალ მოდის ხაზეინი, რაგორიც ს. ბალაჯარის ბუფეტის ბ. შთაქძეა, ძნელათ იქნება სადმე. მოსამსახურეებისადმი ურიკა მოეეერობა, უმიზეზოთ აგდებიდან დათხოენა, ცხეება და დაეედრება, ხომ უოველდღიური ამბავია ეას ეეე. ბ. შთაქძემ დაიქირეა ვიდაც დედაკაცი, რომელმაც სულ ერთიანათ ორიგ-დორი უეედა. მისი მიზეზით 27 აგვისტოს დათხოეა უფროსი ბუფეტჩიკი. 29 აგვისტოს შთაქძემ სრულიად უმიზეზოთ ცხეება მეეარეულს და იმ ზომამდე მიაგიდა, რომ დანით მიიეია მოსაკლავათ. ბუფეტში ათასგეარი ეესკვრები სდება, რაც დიდს აღშფოთებას იწეევს მეზეარეებში. ისე დღე არ გაეა, რომ ბ. შთაქძემ ქეითი არ გამართოს და მოსამსახურეებისთვის კი მთელი წლის ჯამაგირები არ მიუცია. „გაერთება დაეეს და ჯამაგირები სიდან მოგეეთოო“ გაიძახის თავის გასამართლებლათ. საქეითოთ და საარშიყოთ კი მუმუდამ ბდომათ აქვს ფედები.

ბალაჯარის მეთვალყურე.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. მელიქ-შახნაზარიანცი

ბ-ნო გრიგოლ მიროტაძევ!

თქვენ ივრცელებთ საზოგადოებაში ჩემზე ცუდს ხმებს, რასთვისაც გაეწყეთ სამედიტორო სასამართლოში. გაძლეეთ სამი დღის ვადას და ამოირჩიეთ თქვენის მხრით მედიატორეები. ჩემს მედიატორებთ კი ვნიშნავ ზ. გ. არჯევნიძეს, გ. სუხიშვილს და ტ. წიქვაძეს.

(1—1) **მ. პ. მიროტაძე.**

მაცნარებლების მიმოსვლა
(18 აპრილიდან)

ფრჩხილებს გარეთ აღნიშნულია პეტერბურგის დრო, ფრჩხილებში თფილისის.

თფილისიდან გადის

ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 1, საღამოს 7 ს. 33 წ. (8 ს. 31 წ.).

2) საფოსტო № 3, დილის 8 ს. 6 წ. (9 ს. 4 წ.).

3) სამგზავრო № 5, ღამის 12 ს. 3 წ. (1 ს. 1 წ.).

ბაქოსაკენ: 1) სამგზავრო № 12, საღამოს 9 ს. 13 წ. (10 ს. 11 წ.).

2) საფოსტო № 4, საღამოს 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).

3) სამგზავრო № 6, დილის 6 ს. 38 წ. (7 ს. 36 წ.).

ბოლომამდე: 1) სამგზავრო № 7|8, დილის 9 ს. (9 ს. 58 წ.).

2) სამგზავრო № 910, ნაშუადღევის 2 ს. 30 წ. (3 ს. 28 წ.).

ჯულფამდე: საფოსტო № 74|75, ნაშუადღევის 12 ს. 46 წ. (1 ს. 14 წ.).

ერევნამდე: სამგზავრო № 78|79, ნაშუადღევის 4 ს. (4 ს. 58 წ.).

მცხეთამდე: მარტო კვირა-უქმეების წინა დღით და კვირა-უქმეებში 1) საგარაკო № 77, დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).

2) საგარაკო № 77a, ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

განცხადებანი

ᲙᲐᲑᲘᲚᲘᲡ ᲔᲥᲘᲛᲘ

ს. ნ. მაცროსოეიჩ-სანოეიჩი.

დაპლომბის გაკეთება, ამოღება, ექიმობა და ხელოვნური კბილების ჩაყენება „პლასტინკით“ და „პუპლასტინკით“ სამკურნალოების ფასებში. მიღება ყოველდღე დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 ს. ვერის დაღმართი № 21 (50—18

ᲔᲥᲘᲛᲘᲐ

ᲐᲠᲓᲐᲖᲘᲐᲜᲛᲐ

განაახლა ავათმყოფების მიღება. დროებით მე-2 თუმანოვის ქუჩა № 27. დილის 8—9 ნახ. საათ. და საღამოს 4—9 საათამდის. (0—თ—6)

✖ 2 კომერციული სასწავლებელი ✖

ღებულობენ 4 კლასიან სამოქალაქო სასწავლებელ გათავებულებს გამოუცდელათ პირველ კლასში. სწავლის ფასი წლიური—80 მან. თხოვნების მიღება გრძელდება.

ადრესი: ვედენკო-კნიაზესკის ქუჩა № 17.

გამოცდილი მასწავლებლები

(მონაწილეობას ღებულობენ მასწავ. ქალებიც, მცოდნე ზედმიწევნით უცხო ენებისა).

ამზადებენ **ჭალ-ვაჟთ**, ყველა **დაბალ** და **ხაშუალო** სასწავლებლებისათვის: **სამოქალაქო** სასწ., **სასულიერო, საფერშლო, ტეხნიკის, რეალურ, საქალებო** და **სავაჟო გიმნაზიის, სამასწავლებლო სემინარიისთვის.** ამზადებენ **სოფლის ერთ და ორ კლასიან მასწავლ.**, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, **ყველა ხარისხ-ჩინზე.**

აგრეთვე ღებულობენ მოსწავლე ვაჟებს და ქალებს, რომლებმაც **ანბანი** სრულებით არ იციან. მსურველთ იყვანენ მთელ ხარჯზედაც.

თვიურათ ფასი 5 მ.—20 მ.-დე, იყვანენ **პირობითაც.**

ამ ეზოშივე გამოცდილი **მკერავი** ქალი ღებულობს და კერავს **ზაკაზებს ხელმისაწდომ ფასებში, იყვანს მოსწავლე ქალებს.**

ადრესი: ავჭალის ქუჩა, სახლი № 133, ბინა 26, (ვოგზლის პირდაპირ—ნახალოვკაში).

მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე, თავდება საღამოს 9 საათზე. (24—8)

ᲞᲠᲝᲕᲝᲚᲓᲜᲘᲙᲘᲡ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲝᲑᲐ ᲠᲘᲒᲐᲨᲘ



1908 წ.

ᲡᲐᲤᲐᲑᲠᲘᲙᲝ ᲡᲐᲜᲧᲝᲒᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ ᲐᲛᲘᲔᲠ-ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲡᲝᲚᲝᲚᲐᲙᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, № 4.

ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲜᲐᲠᲓᲐᲗ ᲓᲐ ᲪᲐᲚᲝᲑᲗ.

დარეზინებული წყალგაუვალი ზედა ტანისამოსი სულ ახალი საზღვარგარეთულ ფასონების საუკეთესო ინგლისურ მატერიებისა სულ იაფ ფასამდე.

დარეზინებული წამოსასხამები და პალტოები ბ-ნთ აფიცრებისათვის.

დარეზინებული მატერია სხვადასხვა მიზნისათვის.

რეზინის ღრუბელი.

№ 4. სავარცხლები რქის რეზინისაგან.

ᲪᲐᲚᲝᲑᲘᲗ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲐᲖᲔ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ

№ 2. **ᲒᲐᲚᲝᲨᲔᲑᲘᲡ „ᲞᲠᲝᲕᲝᲚᲓᲜᲘᲙᲘᲡᲐ“**

(24—6.—39).